საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 1 22 00278960

02/02/2022

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი)
ბატონ **კონსტანტინე ღვინჯილია**

ბატონო კონსტანტინე,

თქვენი 2022 წლის 31 იანვრის N60-01220312464 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ განხილული იქნა ქალაქ თბილისში, გრიშაშვილის ქუჩა N41 და N41ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ : 01.18.04.013.077) სასტუმროს შენობის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები უნდა მოიცავდეს მიწის ნაკვეთის გეგმას, რომელზეც დატანილ უნდა იქნას:

1.ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები (დაცილება) საპროექტო შენობასა და მეზობლად მდებარე შენობა-ნაგებობებს შორის, ასევე მათი ცეცხლმედეგობის ხარისხი და ფუნქციური დანიშნულება.

2.საპროექტო შენობასთან სახანძრო ავტომობილების მისასვლელი გზა/გზები და მისი პარამეტრები (იმ შემთხვევაში თუ საპროექტო შენობის ბოლო დაკავებული სართულის სიმაღლე არ აღემატება 18მ-ს, საჭიროა შენობის ერთი გრძივი მხრიდან მისასვლელი გზების მოწყობა. გზების სიგანე მიღებული უნდა იქნას არანაკლებ 4.2მ. მანძილი გზის შიდა კიდიდან შენობის კედლამდე უნდა იყოს 5-8მ., ჩიხური შესასვლელი გზის შემთხვევაში სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 150 მეტრს და გზის ბოლოში უნდა მთავრდებოდეს სახანძრო ავტოტექნიკის მოსაბრუნებელი მოედნით, რომლის ზომებიც არ უნდა იყოს 15X15 ნაკლები).

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

3.საპროექტო შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისათვის აუცილებელი წყალგაყვანილობის ქსელი (ჰიდრანტების რაოდენობა დამოკიდებულია შენობის მოცულობაზე).

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის აუცილებელია მშენებლობის სანებართვო პროცესის I სტადიის მოთხოვნებიდან გამომდინარე განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებების შეტანა სამშენებლო დოკუმენტაციაში და კორექტირებული პროექტი წარმოდგენილი იქნეს განსახილველად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

